შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს

ოქმი N3

25.09.2019

სხდომის ჩატარების ადგილი : შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზი.

შეხვედრას ესწრებოდნენ საბჭოს 10 წევრი:

- ცოტნე ტარიელაძე
- ნანა სურმანიძე
- ზვიად გოგიტიძე
- გიორგი ფუტკარაძე (მახალაკიძეები)
- ნანა ფევაძე
- სალომე ბედინაძე
- გიორგი ბერიძე
- ხატია ხიმშიაშვილი
- რენა თავდგირიძე
- თენგო დავითაძე

სხდომას დავმჯდომარეობდა საბჭოს წევრი ცოტნე ტარიელაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ : საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, შუახევის მერი ფრიდონ ფუტკარაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი დავითაძე, მერის მოადგილე რუსუდან შავაძე, საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე ვახტანგ ზოიძე.

განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

დღის წესრიგი

- ✓ შუახევის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესახებ ანგარიში - მომხსენებელი დავით დავითაძე მერიის ეკონომიკის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;
- ✓ მადლიერების გამოხატვის ტენდეციების დანერგვა-მომხსენებელი ხატია ხიმშიაშვილი;
- ✓ მიუსაფარ ძაღლებზე ზრუნვა -მომხსენებელი ხატია ხიმშიაშვილი;
- ✓ საქველმოქმედო აქციების ჩატარება - მომხსენებელი ხატია ხიმშიაშვილი;
- ✓ გაცნობითი ხასიათის ტურის მოწყობა სხვა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან- მომხსენებელი - ცოტნე ტარიელაძე
- ✓ დასუფთავების აქციების მოწყობა თემებში პერიოდულად - მომხსენებელი ცოტნე ტარიელაძე;
- ✓ ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრის გახსნა - მომხსენებელი გიორგი ფუტკარაძე.

აზრი გამოთქვეს: ანზორ ბოლქვაძემ, რომელმაც ისაუბრა საბჭოს როლზე და მნიშვნელობაზე მუნიციპალიტეტის განვითარებაში. ასევე, ანზორ ბოლქაძემ ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭო შემდეგი სხდომისთვის მიიპატიჟა ხულოს მუნიციპალიტეტში გასვლითი შეხვედრის ჩასატარებლად და ასევე დაპირდა შემეცნებითი ტურის მოწყობას საქართველოს პარლამენტში.

ასევე საბჭოს მნიშვნელობაზე და ახალგაზრდების გააქტიურებაზე ისაუბრეს საკრებულოს თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტის მერმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ახალგაზრდების ჩართულობას მუნიციპალიტეტის განვითარებაში აქვს დიდი როლი და საჭიროა უფრო მეტი აქტიურობა და ინიციატივა.

საბჭომ დაადგინა :

- ✓ აღინიშნოს მადლიერების დღეები და დაწესდეს ერთგვარი კვირეული, რომელიც დატვირთული იქნება სხვადასხვა აქტივობებით;

- ✓ მიუსაფარი და უპატრონო ძაღლებისთვის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყოს პატარა სახლები ძაღლების თავშესაფრისთვის;
- ✓ პერიოდულად მოეწყოს საქველმოქმედო აქციები;
- ✓ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ურთიერთობის გაღრმავებისთვის და მეტი კომუნიკაციისთვის მოეწყოს გასვლითი შეხვედრები;
- ✓ პერიოდულად მოეწყოს დასუფთავების აქციები ახალგაზრდებს ორგანიზებით;
- ✓ მოხდეს ახალგაზრდების ინფორმირებულობა ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე რეგისტრაციისთვის, რომელსაც ახორციელებს აჭარის განათლების ფონდი.

საბჭოს თავმჯდომარე : ბ.

საბჭოს მდივანი: ნ. ...